ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 104

"15" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ათონელის ქუჩა №29/ხიდის ქუჩა №1-ში მდებარე 41,18 კვ.მ. (ს/კ №01.18.03.005.004.01.548) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მედია ჰოლდინგ რეგიონის ტრიბუნისათვის" (ს/კ №430029266) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის -,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლის შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 23 მარტის №11.10.250 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისი, ათონელის ქუჩა №29/ხიდის ქუჩა №1-ში, მე-3 სართულზე მდებარე 41,18 კვ.მ. ფართის (ს/კ №01.18.03.005.004.01.548) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მედია ჰოლდინგ რეგიონის ტრიბუნასთვის" (ს/კ №430029266) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი